აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

BOARD OF REPRESENTATIVES OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 431 244778) ფაქსი (+995 331) 24 38 33
ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება

№ 193

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიგასაუნივერსიტეტო გრანტის დებულების დამტკიცების შესახებ

ქ. ქუთაისი

26 ივნისი 2018 წ.

1. დამტკიცდეს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის" ბიზნესის, სმართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიგასაუნივერსიტეტო გრანტის დებულება წარმოდგენილი სახით. / დებულება თან ერთვის/

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: **პროფ. სულხან კუპრაშვილი**

დამტკიცებულია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის #193 დადგენილებით

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

შიგასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი აწესრიგებს სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) შიდასაფაკულტეტო ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევითი პროექტების წარმოდგენის, განხილვის, შერჩევის, დამტკიცებისა და მონიტორინგის საერთო წესს.
2. საგრანტო პროექტების შერჩევისათვის კონკურსი გაიმართება ღიად და საჯაროდ, გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში, ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. გამარჯვებული პროექტების გამოვლენა მოხდება წინასწარ შერჩეული საექსპერტო კომისიების შეფასებებზე დაყრდნობით.

მუხლი 2. ძირითად ტერმინთა განმარტებები

1. **გრანტის გამცემი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. **პროექტი** - კონკურსის საფუძველზე გრანტით დასაფინანსებელი და/ან დაფინანსებული განაცხადი;
3. **პროექტის ხელმძღვანელი** - აწსუ-ს ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელიც ერთპიროვნულად არეგისტრირებს საკონკურსო დოკუმენტაციას, წარადგენს და მონაწილეობს სააპელაციო განაცხადის განხილვაში; წარმართავს პროექტის მიმდინარეობას; კოორდინაციას უწევს სხვა მონაწილეების საქმიანობას; პასუხისმგებელია პროექტით გათვალისწინებულ დაგეგმილ შედეგებზე; ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და ბიუჯეტის შესრულებაზე.
4. **პროექტის მონაწილე** - შესაბამის დარგში გამოცდილების და კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე.

5. **პროექტის საკონკურსო დოკუმენტაცია** - პროექტში მონაწილეობისა და კონკურსის პირობების სავალდებულო დაცვაზე წარმომდგენთა ხელმოწერით დადასტურებული თანხმობა და პროექტის კრებსითი ინფორმაცია;
6. **შუალედური ანგარიში** - პროექტის ფარგლებში კონკრეტული საანგარიშო პერიოდისთვის/კვარტლისთვის კვლევითი შედეგების და ფინანსური ხარჯების ამსახველი დოკუმენტაცია;
7. **დასკვნითი/საბოლოო ანგარიში** - პროექტის დასრულების შემდეგ წარმოსადგენი კვლევითი და ფინანსური შედეგების ამსახველი დოკუმენტი, რომლის წარდგენა ხდება პროექტის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;
8. **გრანტის მიმღები** – კონკურსში გამარჯვებული და დაფინანსებული პროექტის წარმდგენი ჯგუფი;
9. **ხელშეკრულება** - დოკუმენტი, რომელიც ასახავს გრანტის გამცემსა და გრანტის მიმღებს შორის უფლება-მოვალეობებს. ხელშეკრულება უფორმდება მხოლოდ შესაბამის დარგში გამოცდილების და კვალიფიკაციის მქონე, კონკურსში გამარჯვებული და დაფინანსებული პროექტის წარმდგენი ჯგუფის წევრს.
10. **პროექტის ბიუჯეტი** – კონკურსის საერთო ბიუჯეტიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება;
11. **საანგარიშო პერიოდი** – პროექტის განხორციელების მონაკვეთები, რომელთა მიხედვით გაწერილია პროექტის ამოცანები და შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა;
12. **სარეგისტრაციო კომისია** - ახდენს კონკურსის წესით დადგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის მიღებას, გამოცხადებული საგრანტო კონკურსის პირობებით განსაზღვრულ ვადებში.
13. **შიდასაფაკულტეტო საკონკურსო კომისია** - იღებს მონაწილეობას გამარჯვებული პროექტ(ებ)ის შერჩევაში, რომელიც კონკურსის საწყის ეტაპზე შერჩეულ პროექტ(ებ)ს გადაცემს შეფასებისთვის დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფს (საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედის დეკანი, დეკანის მოადგილე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და დეპარტამენტებიდან - სხდომაზე დამტკიცებული თითო წარმომადგენელი).
14. **დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი** - პირთა ერთობლიობა, რომელიც შეირჩევა კონკურსის მეორე ეტაპზე გასული პროექტების თემატიკის მიხედვით.
15. **დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის წევრი** - ფიზიკური პირი, რომელსაც შესაბამის სფეროში გააჩნია სპეციალური ცოდნა და საქმიანობას ეწევა დამოუკიდებლად.

მუხლი 3. საგრანტო კონკურსის მიზნები:

1. საგრანტო კონკურსის მიზანია:

ა) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის ამაღლება, ფაკულტეტის კვლევითი პროფილის რეალიზების ხელშეწყობა და სტუდენტების სამეცნიერო უნარ-ჩვევებების ჩამოყალიბება/განვითარება, კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებული ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განვითარება, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მხარდაჭერა;

ბ) საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა, კვლევის ინტერნაციონალიზაციისა და კვლევების ინტერდისციპლინური მიმართულების განვითარება;

გ) კვლევის შედეგების სწავლა/სწავლების პროცესში ინტეგრირების ხარისხის ამაღლება;

დ) სტრატეგიული განვითარების სამეცნიერო პრიორიტეტების მიღწევის მხარდაჭერა და რეალიზაციის ხელშეწყობა;

ე) კვლევით პროცესებში სტუდენტთა ჩართულობისა და მათი კვლევითი უნარების ამაღლება.

მუხლი 4. საფაკულტეტო საგრანტო კონკურსის მიმართულებები

1. საფაკულტეტო საგრანტო კონკურსის მიმართულებებს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
2. საფაკულტეტო საგრანტო კონკურსის მიმართულებებია:

ა) **რეგიონული განვითარების:**

I. სამართლებრივი ასპექტები;

II. ეკონომიკური და ბიზნეს ურთიერთობები;

III. სოციალური პროცესები;

ბ) **სწავლა/სწავლების ხარისხის განვითარება;**

3. შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის ზოგადი მიმართულებების დაზუსტება-დაკონკრეტება ხდება ყოველჯერზე, საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე, საფაკულტეტო კვლევითი პრიორიტეტების განვითარების მიზნებიდან გამომდინარე.

მუხლი 5. კონკურსის ძირითადი ეტაპები

1. კონკურსის გამოცხადება;
2. კონკურსანტთა რეგისტრაცია (საკონკურსო მოთხოვნებთან წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა);
3. პროექტების შერჩევა ორ ეტაპად:
   I. შიდასაფაკულტეტო საკონკურსო კომისიის მიერ;
   II. შიდასაფაკულტეტო საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული პროექტების შეფასება დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

4. შიდასაფაკულტეტო კომისიის თავმჯდომარის მიერ საბოლოო შედეგების წარდგენა და დამტკიცება ფაკულტეტის საბჭოზე;
5. საბოლოო შედეგების გამოცხადება;
6. აპელაცია;
7. დასაფინანსებლად შერჩეულ/გამარჯვებულ პროექტებში მონაწილე პერსონალთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 6. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. დეკანის წარდგინებით ფაკულტეტის საბჭო უზრუნველყოფს:
   - დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშის ფორმების დამტკიცებას;
   - სარეგისტრაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცებას;
   - დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობას დამტკიცებას.
   - შიდასაფაკულტეტო საკონკურსო კომისიის შემადგენლობას დამტკიცებას, რომელიც დამოუკიდებლად აირჩევს თავმჯდომარეს;
   - გამარჯვებული პროექტების შუალედური და დასკვნითი ანგარიშის მონიტორინგს.
2. დეკანის წარდგინებით, ფაკულტეტის საბჭოს მიერ კომისიების შემადგენლობის დამტკიცების საფუძველზე, აწსუ-ს რექტორი გამოცემს შესაბამის ბრძანებას.
3. ფაკულტეტის საბჭოს დადგენილების საფუძველზე, დეკანის წარდგინებით გამარჯვებული პროექტ(ებ)ის ხელმძღვანელთან და მონაწილეებთან ხელშეკრულება ფორმდება აწსუ-ში დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 7. კონკურსში მონაწილეობა და პროექტის განხორციელება

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ და დამხმარე პერსონალს, სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.
2. პროექტის ხელმძღვანელი პროექტის შუალედურ და საბოლოო ანგარიშს წარუდგენს დეკანს, ფაკულტეტის საბჭოს მიერ მონიტორინგის განხორციელების მიზნით;
3. პროექტის ხელმძღვანელის მიერ ვალდებულების განუხორციელებლობის შემთხვევაში, უფლება-მოვალეობები დელეგირდება ერთ-ერთ შემსრულებელზე, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე და მიანიჭებს მას პროექტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის სტატუსს.
4. პროექტში მონაწილე სტუდენტ(ებ)ი:

ა) სავალდებულოა პროექტის მონაწილე იყოს ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები;

ბ) აუცილებელია პროექტის განხორციელებაში ჩართული იყოს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტ(ებ)ი;

გ) ინტერდისციპლინარულ და/ან ინტერნაციონალურ პროექტებში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს სხვა სტუდენტ(ებ)მა.

5. კონკურსანტს უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს რამდენიმე პროექტში, მაგრამ იყოს მხოლოდ ერთი პროექტის ხელმძღვანელი.
6. სხვა თანაბარ პირობებში, პრიორიტეტულად მიიჩნევა პროექტი:
   - ✓ რომელსაც ჰყავს თანადამფინანსებელი ორგანიზაცია. თანადაფინანსების მოცულობა უნდა იყოს პროექტის სრული ბიუჯეტის არანაკლებ 20%-სა, რაც დასტურდება შესაბამისი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის მიერ სატიტულო ფურცელზე ხელმოწერილი და ბეჭედდასმული თანხმობის წერილით;
   - ✓ არის ინტერდისციპლინური;
   - ✓ არის ინტერნაციონალური, რაც დასტურდება უცხოელი მონაწილ(ებ)ის საკონტაქტო ინფორმაციის შემცველი თანხმობის წერილ(ებ)ით;
   - ✓ არის დაბალბიუჯეტიანი საგრანტო პროექტი (მსგავსი მიზნების და შედეგების პროექტების შეფასების თანაბარი ქულების შემთხვევაში);
   - ✓ რომელიც ითვალისწინებს მეტი სტუდენტის ჩართულობას.
7. გამარჯვებული პროექტის განხორციელების პროცესში „მოწვეულის" სტატუსით შეიძლება ჩართულ იქნას საქართველოს ან უცხოეთის სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.

მუხლი 8. პროექტის ბიუჯეტი

1. ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული საგრანტო დაფინანსების საერთო ბიუჯეტის მოცულობა დაზუსტდება ყოველჯერზე, კონკურსის გამოცხადებამდე;
2. საგრანტო დაფინანსების საერთო ბიუჯეტის მოცულობიდან პროექტის ბიუჯეტით მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 15 ათას ლარს;
3. პროექტის ხელმძღვანელის და მონაწილ(ებ)ის შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 60%-ს.
4. საბიუჯეტო კლასიფიკატორის მიხედვით გათვალისწინებული ზედნადები ხარჯების მოცულობა უნდა იყოს პროექტის ბიუჯეტის 2-5%.

მუხლი 9. საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა და ხელშეკრულების პირობები

1. პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 6 და არაუმეტეს 12 თვეს.
2. პროექტებისათვის მონიტორინგი განხორციელდება 3 თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ (კვარტალურად).
3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება საგრანტო პროექტის ხანგრძლივობით.

4. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ხარჯვის პროცესი ხორციელდება წარმოდგენილი ბიუჯეტის შესაბამისად.
5. ფაკულტეტის საბჭო პროექტის მიმდინარეობის შუალედურ და დასკვნით/საბოლოო ანგარიშებს მიიჩნევს დადებითად, თუ სრულად არის შესრულებული გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობა და/ან მიღწეულია დაგეგმილი შედეგები საანგარიშო პერიოდების მიხედვით, ხოლო ხარჯები შესაბამისობაშია პროექტის ბიუჯეტთან და დასტურდება დოკუმენტალურად.
6. ფაკულტეტის საბჭო, შუალედური ანგარიშების უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, ვალდებულია დააყენოს ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი.
7. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დასკვნითი/საბოლოო ანგარიშის უარყოფითად შეფასებისას, შესაბამისად, დაგეგმილი საბოლოო შედეგ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში, გრანტის მიმღები ვალდებულია მოახდინოს პროექტის დაფინანსებისათვის გაღებული თანხის აწსუ-ს ანგარიშზე სრულად დაბრუნება, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.
8. გრანტის მიმღების მიერ პროექტის ფარგლებში შეძენილი მატერიალური რესურსები და ინტელექტუალური შრომის შედეგები რჩება აწსუ-ს საკუთრებაში.
9. ფაკულტეტის საბჭოს მიერ პროექტის მიმდინარეობის შუალედური და დასკვნითი/საბოლოო ანგარიშების უარყოფითად შეფასებისა და პროექტის ხელმძღვანელის და მონაწილეების მიერ აწსუ-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, წარმოშობილი დავა რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 10. საკონკურსო პროექტების დოკუმენტაცია და ფორმატი

1. განაცხადების მიღება ხდება ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით შექმნილი და აწსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული სარეგისტრაციო კომისიის მიერ.
2. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- პროექტის საკონკურსო დოკუმენტაციის „სააპლიკაციო ფორმა"-ში სავალდებულოა ყველა მონაწილის CV იყოს მათ მიერ დათარიღებული და ხელმოწერილი;
- პროექტის ბიუჯეტი.

3. დოკუმენტაცია უნდა ჩაბარდეს როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით მყარ დისკზე (CD/DVD);

4. განაცხადების მიღებისას წარმოდგენილი უნდა იქნას პროექტის მონაწილეების მიერ მითითებული აქტივობების დამადასტურებელი ყველა შესაბამისი დოკუმენტი.
5. საგრანტო კონკურსს აცხადებს და საგრანტო კონკურსთან დაკავშირებულ ვადებს ადგენს აწსუ-ს რექტორი შესაბამისი ბრძანებით, ფაკულტეტის საბჭოს შესაბამისი დადგენილების საფუძველზე.

მუხლი 11. პროექტის შეფასება

1. პროექტის საბოლოო შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, შიდასაფაკულტეტო საკონკურსო კომისიის (მაქსიმალური შეფასება 25 ქულა) და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებების შეჯამებით (მაქსიმალური შეფასება 75 ქულა).
2. შიდასაფაკულტეტო საკონკურსო კომისიის და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის სხდომის წარმართვისათვის აუცილებელია ქვორუმის დაცვა (სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრების რაოდენობის არანაკლებ 2/3).
3. დამატებითი განმარტებისათვის, შიდასაფაკულტეტო კომისია და/ან დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი უფლებამოსილია სხდომაზე მოიწვიოს პროექტის ხელმძღვანელი.
4. შიდასაფაკულტეტო საკონკურსო კომისიის შეფასების კრიტერიუმები:

1	პროექტი განვითარებადია და შესაბამისობაშია ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან
2	პროექტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ფაკულტეტის ცნობადობას
3	პროექტი ფინანსურად მდგრადია და განხორციელების გეგმა-გრაფიკი შესაბამისობაშია ბიუჯეტთან
4	შესაძლებელია მისი შედეგების კომერციალიზაცია
5	პროექტით გათვალისწინებული შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების ხარჯვა ოპტიმალურია

კრიტერიუმების თითოეული კომპონენტი ფასდება 5-ქულიანი სისტემით:

ქულა	კრიტერიუმი
1	სრულიად არ შეესაბამება
2	არ შეესაბამება

3	ნაწილობრივ შეესაბამება
4	შეესაბამება
5	სრულიად შეესაბამება

5. შედეგი მიიღება ცალკეული კრიტერიუმის მიხედვით შეფასებების ჯამური ქულით. შიდასაფაკულტეტო საკონკურსო კომისიის მიერ მინიმუმ 20 ქულით (გაიანგარიშება კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკულით) შეფასებული პროექტ(ებ)ი გადაეცემა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფს შემდეგი შეფასებისათვის.

6. დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის წევრები ირჩევენ თავჯდომარეს ღია კენჭისყრით და განსაზღვრავენ შეფასების შესაბამის კრიტერიუმებს შემდეგი პრიორიტეტების გათვლისწინებით:

- ✓ პროექტის აქტუალურობა;
- ✓ ინოვაციურობა და კრეატიულობა;
- ✓ კონკურსანტების კვლევითი უნარების შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და შედეგებთან;
- ✓ პროექტის გაზომვადობა და შედეგის მიღწევადობა;
- ✓ პროექტით გათვალისწინებული დროის რელევანტურობა.

6.1. დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი ადგენს შეფასების კრიტერიუმების ოქმს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

6.2. დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასების მინიმალური საკონკურსო ქულაა 60.

6. შიდასაფაკულტეტო საკონკურსო კომისიისა და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეების მიერ წარდგენილ შეფასებათა საფუძველზე, ფაკულტეტის საბჭო ადგენს კონკურსანტთა საბოლოო რანჟირებულ სიას.

7. რანჟირებული სიიდან გამარჯვებულად გამოცხადდება ის უმაღლესი შეფასების მქონე პროექტ(ებ)ი, რომელთა ბიუჯეტების ჯამი არ აღემატება საგრანტო დაფინანსების საერთო ბიუჯეტის მოცულობას.

მუხლი 12. ინტერესთა კონფლიქტი

1. კომისიის შემადგენლებაში არ შეიძლება შედიოდეს პირი, რომელიც არის კონკურსის მონაწილე.

2. თუ ცნობილი გახდება ინფორმაცია კომისიის წევრების და კონკურსში მონაწილე სუბიექტების ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს კომისიის წევრის შეფასების გაუქმებაზე.
3. ექსპერტი არ შეიძლება იყოს:

ა) კონკურსის მონაწილე;

ბ) პირი, რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი; პროექტის დაფინანსების/დაუფინანსებლობის შემთხვევაში;

გ) პირი, რომლის ახლობელმა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნათესაური კავშირის რიგის შესაბამისად) შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი; პროექტის დაფინანსების/დაუფინანსებლობის შემთხვევაში;

დ) პირი, რომელიც არის პროექტის მონაწილის კონსულტანტი;